



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული  
პლატფორმის წევრი ორგანიზაციების  
განცხადება**

**2016 წლის 12 ივნისს, ორლანდოში, ფლორიდაში დატრიალებული ტრაგედიის თაობაზე**

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა გამოხატავს უღრმეს თანაგრძნობასა და თანადგომას 2016 წლის 12 ივნისს, ორლანდოში მასობრივი სროლების დროს დაღუპულთა და მათი ოჯახების მიმართ. ვგლოვობთ ოჯახებისთვის, რომლებსაც ეს ტრაგედია შეეხო.

უცოდველ მოქალაქეებზე ეს გაუგონარი თავდასხმა მხოლოდ ფლორიდის ლგბტ თემის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული, არამედ მთლიანად კაცობრიობის და იმ საყოველთაო ღირებულებების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ.

ამერიკის შეერთებული შტატები დაფუძნდა იდეაზე, რომლის თანახმადაც, თითოეულ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერების ძიების უფლება. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ (ლგბტქ) ადამიანების უფლებების წინსვლა და განვითარება შეერთებულ შტატებში დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა, როგორც ეს აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, საქმეში ლოურენსი ტეხასის წინააღმდეგ (რამაც ერთი სქესის მქონე პირთა შორის სქესობრივი ურთიერთობები დაუშვა) და ობერგფელი ჰოჯის წინააღმდეგ (რამაც ერთსა და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება დაუშვა და აღიარა). შეერთებულ შტატებში, ლგბტქ ადამიანთა სამოქალაქო უფლებებს ორგანიზაციათა ფართო სპექტრი იცავს. ამის გამოა, რომ შეერთებული შტატების ისტორიაში ასეთი მასშტაბის თავდასხმა ასეთი მოულოდნელი აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უძველესი მეგობარია. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით ამერიკელი ხალხის უზარმაზარ მხარდაჭერას. ამიტომ, გვსურს ძალიან ცხადად გამოვხატოთ მხარდაჭერა ამერიკის მიმართ, რომელიც ტერორიზმსა და ექსტრემიზმს ებრძვის.

ვგმობთ ყველა სახის მოტივსა თუ მიზანს, რომელიც ადამიანის უფლებების შეზღუდვისკენ არის მიმართული.

სიძულვილს არ უნდა მივცეთ გამარჯვების საშუალება!

*ხელმძღვანელი ორგანიზაციები:*

1. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
3. ევროპული ინიციატივა - ლებრალოური აკადემია თბილისი
4. საზოგადოებრივი დამცველი
5. ჯანმრთელი სამყარო
6. ახალგაზრდები სამართლიანობისთვის - საქართველო
7. ჯანმრთელი ბავშვები
8. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
9. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
10. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
11. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
12. პროფესიული კავშირების გაერთიანება
13. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
14. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
15. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
16. რეპატრიანტთა კავშირი
17. "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი"
18. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"
19. საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
20. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
21. ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოება"
22. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
23. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
24. ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
25. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
26. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
27. სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
28. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
29. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
30. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
31. ასოციაცია "მერკური"
32. საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები
33. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
34. კონსტიტუციის 42 მუხლი
35. მეწარმე ქალთა ფონდი

36. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
37. ადამიანის უფლებათა სახლი
38. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
39. ახალგაზრდული ალტერნატივა
40. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
41. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
42. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
43. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
44. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
45. საქართველოს რეფორმების ასოციაცია
46. ევროპის ფონდი
47. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
48. საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო“
49. საქართველოს გაეროს ასოციაცია
50. საერთაშორისო ფონდი „ლეა“
51. დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM“ – ის საქართველოს წარმომადგენლობა
52. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
53. "კავკასიური მოზაიკა"
54. წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო - რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი “ემპათია“
55. ასოციაცია ”ფსიქეა“
56. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის